ჩატარდა ქრისტიანული კულტურის ფესტივალი „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“

საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის საქველმოქმედო V ფესტივალი „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“, 2021 წლის 21 აგვისტოს ერთდროულად ორ ადგილას ჩატარდა: ქრისტე მაცხოვრის ტაძრის საეკლესიო კრებების დარბაზში და მოსკოვთან მიმდებარე პარკ „პატრიოტში“ – რუსეთის შეიარაღებული ძალების აღდგომის სახელობის მთავარი ტაძრის მოედანზე.

წელს ფესტივალი ეძღვნება ბერძენი ერის განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების 200 წლისთავს, ასევე ადმირალ თეოდორე უშაკოვის წმინდანთა დასში შერაცხვის 20 წლისთავს. კულტურული ფორუმის ფარგლებში ჩატარდა შემოქმედებითი მასტერკლასები, კონკურსები და კონცერტები, რომლებზეც მაყურებლებს შეეძლოთ მოესმინათ რუსული და ბერძნული მუსიკა, ენახათ ეროვნული ცეკვები და ორი ქვეყნის ეროვნული სამოსი. ამის გარდა, ფესტივალის ფარგლებში კეთილი საქმეების მარათონზე ჯილდოები გადაეცათ სრულიად რუსეთის საბავშო ნახატების კონკურსის – „რუსი და ბერძენი ხალხების მეგობრობა“ – გამარჯვებულებს.

ქრისტიანული კულტურის ფესტივალის პროგრამა რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ ტაძართან ჩატარებული პარაკლისით დაიწყო.

პარკ „პატრიოტში“ მისულებს შეეძლოთ, გაცნობოდნენ, გამოფენას „კორფუ. ვისწრაფვი მიყვარდე, შევქმნა და მჯეროდეს“ და ექსპოზიციას „დაუმარცხებელი ადმირალი: წმინდა მართალი მებრძოლი თეოდორე უშაკოვი“, რომელშიც, კერძოდ, შესაძლებელია ათეულობით იშვიათობის ნახვა, რომლებიც დაკავშირებულია დიდებული საზღვაო მეთაურისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთან.

ფესტივალის გალა-კონცერტი ქრისტე მაცხოვრის სახელობის ტაძრის საკრებო დარბაზში ჩატარდა. საკონცერტო პროგრამის დასაწყისს წინ უძღოდა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურის, საიმპერატორო მართლმადიდებლური პალესტინელთა საზოგადოების თავმჯდომარის ს. ვ. სტეპაშინის გამოსვლა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ გააჟღერა.

მიუთითა რა რუსი და ბერძენი ხალხების ბედის ისტორიულ მჭიდრო კავშირზე, უწმინდესმა პატრიარქმა აღნიშნა: „წმინდა თეოდორე უშაკოვი რუსეთის ფლოტის ესკადრის სათავეში მონაწილეობდა იონიის კუნძულების უცხოური ოკუპაციისგან გათავისუფლებაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით რუსი ჯარისკაცები ეხმარებოდნენ თავიანთ ბერძენ ძმებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. დაცემული გმირების, მათი თავგანწირვის ხსოვნა წმინდაა რუსეთისა და საბერძნეთის მოქალაქეებისთვის. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უცვლელად უჭერს მხარს ამ ხსოვნის შენარჩუნებას, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობების განმტკიცების საქმეში, რომლებიც დაკავშირებულები არიან საერთო ქრისტიანული რწმენითა და სულიერად ახლო კულტურით. დავიცვათ მაღალი სახარებისეული იდეალების ერთგულება, არ დავივიწყოთ წინაპართა აღთქმები, რომლებმაც ბევრი იღვაწეს ერთობლივ ბრძოლაში ბერძენი ხალხის თავისუფლებისთვის – ჩვენი მოწოდება და ვალია თანამედროვე და მომავალი თაობების წინაშე“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ფესტივალი „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“, შეეწევა „ჩვენი თანამედროვეების ძმურ ურთიერთობებს, მისცემს მათ შესაძლებლობას ახლოს გაეცნონ რუსული და ბერძნული კულტურის მდიდარ მემკვიდრეობებს“.

ფესტივალის პრეზიდენტის პ. ა. კარპუხინის მიერ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ვ. ლავროვის წერილი იქნა წაკითხული.

ორგანიზატორებისა და სტუმრების მისამართით, მისალმება ასევე გმოგზავნეს: რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. მატვიენკომ; რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ს. კ. შოიგომ; რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრმა ო. ბ. ლიუბიმოვამ; რუსული ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარემ ს. ე. ნარიშკინმა; მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტმა, სახელმწიფო დუმის სამოქალაქო საზოგადეობის განვითარების, საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანების კომიტეტის თავმჯდომარემ, ს. ა. გავრილოვმა; საბერძნეთში რუსეთის ფედერაციის ელჩმა ა. მ. მასლოვმა და სხვებმა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87911/